



სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის
ბრძანება

ქ. თბილისი



MES 2 21 0001057533



08/10/2021

აკადემიური საბჭოს წევრის ვაკანტურ ადგილებზე არჩევნების დანიშვნის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული უნივერსიტეტის წესდების მე-7 მუხლის, მე-14 მუხლის მე-6 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის, „საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის მართვის ორგანოების (მმართველი სუბიექტების) არჩევნების ჩატარების შესახებ“ დებულების (შემდგომში - არჩევნების ჩატარების საუნივერსიტეტო დებულება) მე-2 მუხლის მე-2-მე-4 პუნქტების, მე-9 და მე-10 მუხლების შესაბამისად, სტუ-ს აკადემიური საბჭოს მდივნის, ბატონ იაშა კუტუბიძის 2021 წლის 07 ოქტომბრის სამსახურებრივი ბარათის (1049003) საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. 2021 წლის 29 ოქტომბერს დაინიშნოს არჩევნები აკადემიური საბჭოს წევრის შემდეგ ვაკანტურ ადგილებზე:

- ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტი - 1 ვაკანტური ადგილი;
- საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი - 1 ვაკანტური ადგილი;
- სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტი - 2 ვაკანტური ადგილი;
- ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტი - 2 ვაკანტური ადგილი;
- ცოტნე მირცხულავას სახელობის წყალთა მეურნეობის ინსტიტუტი - 1 ვაკანტური ადგილი.

2. აკადემიურ საბჭოს წევრად ფაკულტეტიდან აირჩევა ფაკულტეტის პროფესორი ან ასოცირებული პროფესორი, ხოლო დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულიდან ამ ერთეულის მთავარი მეცნიერი ან უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, გარდა საბჭოს თავმჯდომარის და დირექტორისა.

3. აკადემიური საბჭოს წევრებს ფაკულტეტიდან ირჩევენ შესაბამისი ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის ყველა წევრი და ფაკულტეტის საბჭოს წევრ - სტუდენტთა თვითმმართველობის წარმომადგენლები. აკადემიური საბჭოს წევრს დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულიდან ირჩევენ შესაბამისი ერთეულის სამეცნიერო პერსონალის ყველა წევრი.
4. აკადემიური საბჭოს წევრი აირჩევა ოთხი წლის ვადით. აკადემიური საბჭოს წევრად პირი შეიძლება არჩეულ იქნეს ზედიზედ მხოლოდ ორჯერ. აკადემიური საბჭოს წევრს არ შეიძლება უნივერსიტეტში იმავდროულად ეკავოს ადმინისტრაციული თანამდებობა, გარდა რექტორისა, ან იყოს წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) წევრი.
5. კანდიდატთა რეგისტრაცია დაიწყო 2021 წლის 15 ოქტომბერს და დასრულდეს 2021 წლის 22 ოქტომბერს.
6. კანდიდატებმა განცხადება უნდა შეიტანონ შესაბამისი ფაკულტეტის/დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის საარჩევნო კომისიაში. განცხადებას თან უნდა დაერთოს:
 - ა) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის (პ/მოწმობის, პასპორტის) ასლი;
 - ბ) ცნობა ტექნიკური უნივერსიტეტის ფაკულტეტზე/დამოუკიდებელ სამეცნიერო-კვლევითი ერთეულში დაკავებული აკადემიური/სამეცნიერო თანამდებობის შესახებ.
7. შესაბამისი ფაკულტეტის საბჭოებმა და ცოტნე მირცხულავას სახელობის წყალთა მეურნეობის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭომ 2021 წლის 15 ოქტომბრამდე უზრუნველყოს საარჩევნო კომისიების შექმნა და არჩევნების ჩატარების საუნივერსიტეტო დებულებით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელება.
8. უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ (კ.კოპალიანი) უმოკლეს ვადებში უზრუნველყოს საარჩევნო სიების წარდგენა შესაბამისი ფაკულტეტების და ცოტნე მირცხულავას სახელობის წყალთა მეურნეობის ინსტიტუტის საარჩევნო კომისიებისათვის და არჩევნების ორგანიზებისა და ჩატარებისათვის საჭირო ღონისძიებების განხორციელება.
9. არჩევნები ჩატარდეს არჩევნების ჩატარების საუნივერსიტეტო დებულების შესაბამისად.
10. არჩევნების შედეგები გამოქვეყნდეს არჩევნების დამთავრების შემდეგ თვალსაჩინო ადგილზე და განთავსდეს უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე.
11. ახლადარჩეული აკადემიური წევრების უფლებამოსილების ცნობა, გარდა ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტის და ცოტნე მირცხულავას სახელობის წყალთა მეურნეობის ინსტიტუტის წარმომადგენლებისა, მოხდეს 2021 წლის 17 ნოემბრიდან.
12. ბრძანება გამოქვეყნდეს უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე და ასევე განთავსდეს სტუ-ს შესაბამისი ფაკულტეტების და ცოტნე მირცხულავას სახელობის წყალთა მეურნეობის ინსტიტუტის შენობებში თვალსაჩინო ადგილზე.
13. ბრძანების გაცნობა დაინტერესებული პირებისათვის უზრუნველყოს სტუ-ს საქმისწარმოების დეპარტამენტმა.
14. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 (ერთი) თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, #64).

რექტორი
გურგენიძე დავით

